585 | 3
1938

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 დეკემბერი 1938 წ.

შინაარსი

III. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

ბრძანებულება სოფ. კასპისა და წყალტუბოს საქალაქო ტიპის დასახლებულ ადგილებად (დაბებად) დაკუიცების შესახებ

ბრძანებულება ალინძის რაიონის ნიალის სასოფლო საბჭოდან აგარისა და ნიალის სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ.

ბრძანებულება წალკის რაიონში სანამერის სასოფლო საბჭოს გაუქმებისა და სოფ. ხადიკის წალკის სასოფლო საბჭოსთან შეერთების შესახებ.

ბრძანებულება ქალაქებში: სიღნაღსა, დუშეთსა, ახალქალაქსა და ონში საქალაქო საბჭოების დაარსების შესახებ.

ბრძანებულება სიღნაღის რაიონის სოფელ საქობის უბნის წნორისა დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად) გარდაქმნის შესახებ.

ბრძანებულება ულუბა ყორორა ფსირაცის დაბად გარდაქმნის შესახებ.

ბრძანებულება სოფელ აკარმარის დაბად გარდაქმნის შესახებ.

ბრძანებულება ზესტაფონის რაიონის შორაპანის სასოფლო საბჭოს სოფელ საღვინეს სახელის შეცვლის შესახებ.

ბრძანებულება ზესტაფონის რაიონის სოფ. შორაპანის დაბად გარდაქმნისა და პირველ მაისის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება ყვარლის რაიონის სოფ. ზინობიანის სახელის შეცვლის შესახებ.

ბრძანებულება ს. ქართველოს სახელმწიფო სასოფლო-ს.მეურნეო ინსტიტუტისათვის ამხანაგ ლ. პ. ბეროიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

ბრძანებულება ჭუთაისის აბრეშუმკოჭინაურისათვის ამხანაგ ვ. მ. ბაკრაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

ბრძანებულება ამხანაგ ვ. გ. დეკანოზოვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და კვების მოგზაურობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

ბრძანებულება ამხანაგ ს. გ. ბოშტარის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება ამხანაგ ი. ა. წიკლაურის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

ბრძანებულება ბოგდანოვკის რაიონში ჯიგრაშვილის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება ცაგერის რაიონში მახურის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება ამხანაგ ს. ა. გოგლიძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილისაგან განთავისუფლების შესახებ.

ბრძანებულება ამხანაგ ა. ნ. რაფავას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

ბრძანებულება ამხანაგ ვ. ა. ლოლაძის საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

ბრძანებულება ამხანაგ ვ. ბ. გოგუას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

ბრძანებულება ზუგდიდის რაიონის სოფ. ჯოლეჯიანის სახელის შეცვლისა და ახალი სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ.

ბრძანებულება ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ჩხოროწყუდან ქვედა-ჩხოროწყუს უბნის გამოყოფისა, მისი სოფლად გარდაქმნისა და ჩხოროწყუს რაიონში ახალი სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ.

ბრძანებულება ვანის რაიონში მთისძირის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება საგარეჯოს რაიონში ოჟარმის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება წითელწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროს მუშათა უბნის დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად) გარდაქმნისა და ჯაფარიძის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

ბრძანებულება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მშენებლობაზე წარჩინებით მომუშავე პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

IV. საინფორმაციო ცნობები.

უმატრონო ბავშვთა დამხმარე ვ. ი. ლენინის სახელობის ფონდის განმკარგულებელი კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრებისათვის დღიურების შესახებ პრეზიდიუმის სხდომებსა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი

ბრძანებულება სოფ. კასპისა და წყალტუბოს საქალაქო ტიპის დასახლებულ ადგილებად (დაბებად) დამტკიცების შესახებ.

სოფლები კასპი (კასპის რაიონი) და წყალტუბო (ქუთაისის რაიონი) დამტკიცდეს საქალაქო ტიპის დასახლებულ ადგილებად (დაბებად).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1938 წ. 11 სექტემბერს.

ბრძანებულება ასპინძის რაიონის ნიალის სასოფლო საბჭოდან აგარისა და ნიალის სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ.

შეიქმნას ასპინძის რაიონის ნიალის სასოფლო საბჭოდან აგარის სასოფლო საბჭო სოფ. აგარის, ახჩიას, ლეპისისა და პანაკეთის შემადგენლობით ცენტრით სოფ. აგარაში და ნიალის სასოფლო საბჭო სოფ. ნიალის, გავეთის, კარხამეთის, ორტანისა და ვარნეთის შემადგენლობით ცენტრით სოფ. ნიალში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1938 წ. 11 სექტემბერს.

ბრძანებულება წალკის რაიონში სანამერის სასოფლო საბჭოს გაუქმებისა და სოფ. ხადიკის წალკის სასოფლო საბჭოსთან შეერთების შესახებ.

ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით წალკის რაიონიდან სოფ. სანამერისა და შიპიკის მოსახლეობის სხვა ადგილას გადასვლის გამო, გაუქმდეს სანამერის სასოფლო საბჭო, სოფ. ხადიკი შეუერთდეს წალკის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1938 წ. 11 სექტემბერს.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება ქალაქებში: სიღნაღსა, დუშეთსა, ახალქალაქსა და ონში საქალაქო საბჭოების დაარსების შესახებ.

ქალაქებში: სიღნაღსა, დუშეთსა, ახალქალაქსა და ონში გაუქმდეს სასოფლო საბჭოები და დაარსდეს საქალაქო საბჭოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1938 წ. 17 ოქტომბერს.

ბრძანებულება სიღნაღის რაიონის სოფელ საკობოს უბნის წნორისა დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად) გარდაქმნის შესახებ.

სიღნაღის რაიონის საკობოს სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელ საკობოს უბანი წნორი გარდაიქმნას დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად) და შეიქმნას წნორის სადაბო საბჭო დაბა წნორის, სოფელ ასანურისა და საკობოს უბნის—კვენაკელის შემადგენლობით ცენტრით დაბა წნორში; დარჩეს საკობოს სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში სოფელი მაშნაარი, საკობოს უბნები—შუალახეობა და გოდაქანი ცენტრით დაბა წნორში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1938 წ. 17 ოქტომბერს.

ბრძანებულება კურორტ ფსირცხის დაბად გარდაქმნის შესახებ.

დაკმაყოფილდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობა, რათა აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის ფსირცხის სასოფლო საბჭოს კურორტი ფსირცხა გამოეყოს ფსირცხის სასოფლო საბჭოს, გარდაიქმნას იგი დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად) და შეიქმნას ფსირცხის სადაბო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1938 წ. 16 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სოფელ აკარმარის დაბად გარდაქმნის შესახებ.

დაკმაყოფილდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობა, რათა აფხაზეთის ასსრ ოჩემჩირის რაიონის ტყვარჩელის სადაბო საბჭოს გამოეყოს სოფელი აკარმარა, გარდიქმნას იგი დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად) და შეიქმნას აკარმარის სადაბო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1938 წ. 16 ნოემბერს.

ბრძანებულება ზესტაფონის რაიონის შორაპნის სასოფლო საბჭოს სოფელ საღვინეს სახელის შეცვლის შესახებ.

დაკმაყოფილდეს ამხ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა და ზესტაფონის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა და ზესტაფონის რაიონის შორაპნის სასოფლო საბჭოს სოფელ საღვინეს ეწოდოს სოფელი პირველი მაისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 16 ნოემბერს.

ბრძანებულება ზესტაფონის რაიონის სოფ. შორაპნის დაბად გარდაქმნისა და პირველ მაისის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

1. დაკმაყოფილდეს ზესტაფონის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა შორაპნის სასოფლო საბჭოდან სოფელ შორაპნის გამოყოფისა, მისი დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად) გარდაქმნისა და იქ სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ.

2. დაარსდეს პირველი მაისის სასოფლო საბჭო, რომელშიაც შევლენ სოფლები: პირველი მაისი, წიფლავაკე, სანაბშირე და მარტოთუბანი, ცენტრით სოფელ პირველ მაისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 16 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება ყვარლის რაიონის სოფ. ზინობიანის სახელის შეცვლის შესახებ.

დაკმაყოფილდეს ყვარლის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა და სოფელ ზინობიანს ეწოდოს სოფელი ოქტომბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ 16 ნოემბერს.

ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისათვის ამხანაგ ლ. ბ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

დაკმაყოფილდეს საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორთა, მასწავლებელთა და თანამშრომელთა შუამდგომლობა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისათვის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 16 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება ქუთაისის აბრეშუმკომბინატისათვის ამხანაგ ვ. მ. ბაქრაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

დაკმაყოფილდეს ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟენერ-ტექნიკურ მუშაკთა შუამდგომლობა ქუთაისის აბრეშუმკომბინატისათვის ამხანაგ ვალერიან მინას-ძე ბაქრაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 16 ნოემბერს.

ბრძანებულება ამხანაგ ვ. გ. დეკანოზოვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე დეკანოზოვი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 16 ნოემბერს.

ბრძანებულება ამხ. ს. გ. ხოშტარიას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დანიშნოს ამხ. სიმონ გიორგის-ძე ხოშტარია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მისი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრად დატოვებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 16 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება ამხ. ი. ა. წიკლაურის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ამხ. ილია ანდრიას-ძე წიკლაური საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 16 ნოემბერს.

ბრძანებულება ბოგდანოვკის რაიონში ჯიგრაშენის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

გამოეყოს ბოგდანოვკის რაიონის ხოჯაბეგის სასოფლო საბჭოს სოფლები ჯიგრაშენი და პატარა ხორენია და ეშტის სასოფლო საბჭოს სოფელი ყაურმა და შეიქმნას ჯიგრაშენის სასოფლო საბჭო შემდეგი სოფლების შემადგენლობით: პატარა ხორენია, ჯიგრაშენი და ყაურმა ცენტრით სოფ. ჯიგრაშენში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით ამსრულებელი **ა. ჯორბენაძე**

თბილისი
1938 წ. 29 ნოემბერს.

ბრძანებულება ცაგერის რაიონში მახურის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

გამოეყოს ცაგერის რაიონის ლაძგვერის სასოფლო საბჭოს სოფელი მახურა და ზუბის სასოფლო საბჭოს სოფ. ისუნდერი და შეიქმნას მახურის სასოფლო საბჭო შემდეგი სოფლების შემადგენლობით: მახურა და ისუნდერი ცენტრით სოფ. მახურაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით ამსრულებელი **ა. ჯორბენაძე**

თბილისი
1938 წ. 29 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება ამხ. ს. ა. გოგლიძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

განთავისუფლდეს ამხ. სერგო არსენის-ძე გოგლიძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით ამსრულებელი **ა. ჯორბენაძე**

თბილისი
1938 წ. 29 ნოემბერს.

ბრძანებულება ამხ. ა. ნ. რაფავას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ამხ. ავქსენტი ნარიკის-ძე რაფავა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით ამსრულებელი **ა. ჯორბენაძე**

თბილისი
1938 წ. 29 ნოემბერს.

ბრძანებულება ამხ. ვ. ა. ლოლაძის საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

განთავისუფლდეს ამხ. ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ლოლაძე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით ამსრულებელი **ა. ჯორბენაძე**

თბილისი
1938 წ. 29 ნოემბერს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება ამხ. ვ. ბ. გოგუას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

დანიშნულ ამხ. ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით ამსრულებელი ა. **ჯორბენაძე**

თბილისი
1938 წ. 29 ნოემბერს.

ბრძანებულება ზუგდიდის რაიონის სოფ. ჯოლეჯიანის სახელის შეცვლისა და ახალი სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ.

1. სოფელ ჯოლეჯიანს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს სოფელი ინგირი.

2. გამოეყოს ზუგდიდის საქალაქო საბჭოს სოფელი ინგირი და შეიქმნას ინგირის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ინგირში.

3. გამოეყოს ყულის-ყარის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზემოგრიგოლიში, საესებუო, საკანკიო, სახასიო და სალაგვილაო და შეიქმნას გრიგოლიშის სასოფლო საბჭო შემდეგი სოფლების შემადგენლობით: ზემოგრიგოლიში, საესებუო, საკანკიო, სახასიო და სალაგვილაო ცენტრით სოფელ გრიგოლიშში.

4. ორულე-ერგეტას სასოფლო საბჭო გაიყოს ორ სასოფლო საბჭოდ:

ა) ორულეს სასოფლო საბჭოდ სოფ. ორულეს, წაქეს და სოფელ დიდი ღალის ნაწილის შემადგენლობით ცენტრით სოფ. ორულეში;

ბ) ერგეტას სასოფლო საბჭოდ სოფ. ერგეტას, ცვანეს, ლეკუხას, ნაჭკადუს და სოფ. დიდი ღალის ნაწილის შემადგენლობით ცენტრით სოფ. ერგეტაში.

5. გამოეყოს აბასთუმნის სასოფლო საბჭოს სოფ. ხეცერა და შეიქმნას ხეცერას სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ. ხეცერაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. **ეგნატაშვილი**.

თბილისი
1938 წ. 28 დეკემბერს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ჩხოროწყუდან ქვედა-ჩხოროწყუს უბნის გამოყოფისა, მისი სოფლად გარდაქმნისა და ჩხოროწყუს რაიონში ახალი სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ.

1. გარდაიქმნას სოფ. ჩხოროწყუს უბანი ქვედა-ჩხოროწყუ სოფ. ქვედა-ჩხოროწყუად. გამოეყოს სოფელი ქვედა-ჩხოროწყუ და სოფ. ლეჯიქე ჩხოროწყუს სასოფლო საბჭოს და შეიქმნას ქვედა-ჩხოროწყუს სასოფლო საბჭო სოფ. ქვედა-ჩხოროწყუს და სოფ. ლეჯიქეს შემადგენლობით ცენტრით სოფელ ქვედა-ჩხოროწყუში.

2. გამოეყოს მუხურის სასოფლო საბჭოს სოფელი ზუმი და ხაბუმის სასოფლო საბჭოს სოფელი ზუმი და შეიქმნას ზუმის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ. მუხურის ზუმში.

3. გამოეყოს მუხურის სასოფლო საბჭოს სოფლები თაია პირველი, ოცინდალე და ხაბალერი და შეიქმნას თაიას სასოფლო საბჭო სოფლების თაია პირველის, ოცინდალეს და ხაბალერის შემადგენლობით ცენტრით სოფ. თაია პირველში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 28 დეკემბერს.

ბრძანებულება ვანის რაიონში მთისძირის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

გამოეყოს ვანის რაიონის შუამთის სასოფლო საბჭოს სოფლები მთისძირი, ჭაგანუყეში და დაარსდეს მთისძირის სასოფლო საბჭო შემდეგი სოფლების შემადგენლობით: მთისძირი და ჭაგანუყეში ცენტრით სოფელ მთისძირში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 28 დეკემბერს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საგარეჯოს რაიონში უჯარმის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

გამოეყოს საგარეჯოს რაიონის ხაშმის სასოფლო საბჭოს სოფლები: უჯარმა, მუხროვანი, გომბორის სასოფლო საბჭოს სოფელი პალდო-ჩანჩქრები და შეიქმნას უჯარმის სასოფლო საბჭო შემდეგი სოფლების შემადგენლობით: უჯარმა, მუხროვანი და პალდო-ჩანჩქრები ცენტრით სოფ. უჯარმაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 28 დეკემბერს.

ბრძანებულება წითელწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროს მუშათა უბნის დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად) გარდაქმნისა და ჯაფარიძის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

1. გამოეყოს წითელწყაროს სასოფლო საბჭოს სოფ. წითელწყაროს მუშათა დასახლებული უბანი და გარდაიქმნას დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად), შეიქმნას წითელწყაროს სადაპო საბჭო მასზე დაბა ახალშირაანის მიწერით.

2. გამოეყოს წითელწყაროს სასოფლო საბჭოს სოფ. ჯაფარიძე და დაარსდეს ჯაფარიძის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ. ჯაფარიძეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი
1938 წ. 28 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მშენებლობაზე წარჩინებით მომუშავე პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით შემდეგი პირები, რომლებმაც განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მშენებლობაზე:

აკოფოვი მიხეილ ოჰანესის-ძე, მშენებლობის პარტორგი,
აღლაძე ნეოფიტე დიმიტრის-ძე, მარმარილოს მთლელი,
თამბორიძე დიმიტრი ზაქარიას-ძე, მექანიკოსი, სტახანოველი,
ლოიკო ივანე ივანეს-ძე, სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი,
ლუკიანჩენკო ნიკანდრე ივანეს-ძე, დურგალი,
მარტიროსიანი ენოქ მოსეს-ძე, მხეხავი, სტახანოველი,
ნებაენკო ევდოკია ხარიტონის ასული, მხეხავი, დამკერელი,
საფრაზიანი მარიამ ამაზასპის ასული, სამუშაოთა მწარმოებელი,
სტეფანიანი ერვანდ ეღიაზარის-ძე, მხეხავი, სტახანოველი,
ფარქოსაძე თეოფილე ოტიას-ძე, ქვის მთლელი, სტახანოველი,
შუშიაშვილი იასონ დიმიტრის-ძე, ქვის მთლელი, სტახანოველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი.
1938 წ. 28 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. საინფორმაციო ცნობები

უპატრონო ბავშვთა დამხმარე. ვ. ი. ლენინის სახელობის ფონდის განმკარგულებელი კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. უპატრონო ბავშვთა დამხმარე, ვ. ი. ლენინის სახელობის ფონდის განმკარგულებელი კომისია ლიკვიდირებულ იქნას.

2. შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წ. აგვისტოს 25-ის დადგენილებისა, უპატრონო ბავშვთა დამხმარე, ვ. ი. ლენინის სახელობის ხელუხლებელი ფონდი გადაეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს რეზერვში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმისა და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრებისათვის დღიურების შესახებ პრეზიდუმის სხდომებსა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

დაწესდეს დღიურები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრებისათვის, რომლებიც ქ. თბილისის გარეთ ცხოვრობენ, პრეზიდიუმის სხდომებსა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღების დროის გახანგრძლივობაში იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სესიის მუშაობის პერიოდში, ე. ი. 75 მანეთის რაოდენობით.

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ., მთავრობის სახლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

35 ₾

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს გამ-ბა „კომუნისტის“ სტამბა, თბილისი, კაბოს ქ. № 68.
შეკვ. № 7. მთავლ. № ა—4980 ტირაჟი 4000